

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №38

12.03.2019 წ.

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

16:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი, გიორგი დოხტურიშვილი, ლევან ხაბეიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. რევაზ სოხაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. დავით უჯმაჯურიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. ბექა დავითულიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. დავით უთმელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. თინათინ ნიბლოშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. ვახტანგ შაქარიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. თევდორე ისაკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. ნიკოლოზ ვაჩეიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. ირაკლი ზარქუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
10. ალექსანდრე ხუჯაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
11. ირაკლი ნადირაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
12. ლევან დარახველიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
13. შალვა ოგბაიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
14. გიორგი ჩაკვეტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
15. ავთანდილ ცინცაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
16. დავით ჭელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
17. ოთარ გრიგოლია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
18. თამარ ტალიაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
19. ქეთევან ჯოხაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
20. ნინო ლაცაბიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
21. ლილე ლიპარტელიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. მაია ზითაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
2. ალექსანდრე ტოგონიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი;
3. მამუკა სალუქვაძე - ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ დირექტორი;
4. მერაბ ბოლქვაძე - ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ ხელმძღვანელი;
5. თემო კალანდაძე - იურისტი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩემი ქალაქის“ წარმომადგენელი;
6. ზურაბ ბაქრაძე - არქიტექტორი, ურბანისტი;
7. ანა გაბრიაძე - ა(ა)იპ „უსაფრთხო სივრცის“ თავმჯდომარე;
8. ირ. ქველაძე (დაინტერესებული პირი, მოქალაქე);
9. სხვა დაინტერესებული პირები;
10. მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30), საკრებულოს ხუთი კომისიის (ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, გარემოს დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, სატრანსპორტო საკითხთა და ასევე, ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის კომისიების) ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი რევაზ სოხაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

#### სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 6 მარტის №12-031906554-03 წერილი)

/მომხსენებელი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის  
მოადგილე მაია ზითაძე/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 6 მარტის №12-031906554-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა მაია ბითაძემ.

მომხსენებელმა (მ. ბითაძე) ისაუბრა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ პროექტის შემუშავების ისტორიასა და აღნიშნული დოკუმენტის მნიშვნელობაზე. ქ-ნმა მ. ბითაძემ აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ შემუშავებულმა ექსპტომიანმა დოკუმენტმა სამართლებრივი ასახვა პოვა წარმოდგენილ დოკუმენტში, რომელიც პრიორიტეტულად მიიჩნევს მდგრად ურბანულ განვითარებას, მიზნად ისახავს ინკლუზიური, უსაფრთხო და მედეგი საქალაქო სავრცის შექმნას. მწვანე ქალაქის, კომპაქტურობისა და კარგად შეკავშირებული კონცეპტუალური მიმართულების რეალიზებით იქმნება თბილისის განვითარების მკაფიო სტრატეგია, რომლის შესრულებით შესაძლებელია ქალაქის წინაშე არსებული ურბანული პრობლემების ეტაპობრივი აღმოფხვრა.

„მწვანე ქალაქის“ კონცეფციის ფარგლებში მოხდება:

- 1) მდ. მტკვრისა და ქალაქის ნაშენი ნაწილის ისტორიული ურთიერთდამოკიდებულების დაბრუნება; ასევე, მტკვრისა და მისი შენაკადების გასწვრივ გამწვანებული საფეხმავლო და საველოსიპედო ბილიკების ქსელის მოწყობა, რომელიც ურბანული ხაზოვანი გამწვანების დერეფნებთან ერთად, ველომოყვარულთათვის და ფეხით მოსიარულეთათვის კომფორტულს გახდის ქალაქში გადაადგილებას და ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დაფუძნებას;
- 2) თბილისში არსებული მცირე მდინარეების გახსნა და სარეკრეაციო ფუნქციით დატვირთვა;
- 3) ერთიანი მწვანე სივრცეების და ბალ-პარკების განვითარება;
- 4) ბრაუნფილდების ხელახალი გამოყენებისათვის სარეკრეაციო და მწვანე ფუნქციების პრიორიტეტიზაცია;
- 5) თბილისის ცენტრალური მულტიფუნქციური არეალის გეგმარებითი განვითარებისათვის სარეკრეაციო და მწვანე ფუნქციების პრიორიტეტიზაცია;

- 6) საერთო სარგებლობის გამწვანებული ტერიტორიებისა და ღია სივრცეების ფართობი, უბნების მიხედვით, ქალაქის განაშენიანებულ ნაწილში, ერთ სულ მოსახლეზე უნდა გასამზადდეს და აღმატებოდეს ერთ მოსახლეზე 10 კვ/მ.;
- 7) გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირება და გაუნაშენიანებელ ტერიტორიაზე ბუნებრივი ლანდშაფტების დაცვა, ხოლო განაშენიანებულ ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი ლანდშაფტი გამოყენებული უნდა იქნას ეფექტიანად და ოპტიმალურად;
- 8) ყველა უბნისთვის, პრიორიტეტულ მიმართულებას ახალი, საერთო სარგებლობის მწვანე სარეკრეაციო სივრცეების შექმნა წარმოადგენს, რაც აისახა და დატანილია პროექტის თანდართულ თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე. შეიქმნა 5 ტიპის სარეკრეაციო ზონა (სარეკრეაციო ზონა, სარეკრეაციო ზონა 1, სარეკრეაციო ზონა 2, სარეკრეაციო ზონა 3, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა და სატყეო ზონა). დედაქალაქის მიწათსარგებლობის განახლებულ გენერალურ გეგმაში შესულია სატყეო ზონა, რომელიც მე-20 საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ პირველად განხორციელებული სატყეო ინვენტარიზაციის შედეგად აისახა თემატურ რუკაზე. ასევე, იდენტიფიცირებულია ყველა დონის სარეკრეაციო ზონები და სხვა შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანების არეალები, რომელიც დატანილია თემატურ რუკაზე;
- 9) ქალაქის ირგვლივ ბუფერული გამწვანების ზონის შემდგომი განვითარება, დეგრადირებული ტერიტორიების, მწვანე ნარგავებისა და ლანდშაფტური სივრცეების აღდგენა.

მომხსენებელმა (მ. ბითაძემ) ასევე ისაუბრა დადგენილების პროექტის დანართი №2-ის (დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილი), 72-ე მუხლით გათვალისწინებულ იმ 11 ჩარჩო გეგმაზე, რომლებისთვისაც დადგენილია განვითარების სპეციალური პირობები.

ქალბატონმა მ. ბითაძემ ყურადღება გაამახვილა იმ ეტაპებზე, რომელიც განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება-დამტკიცების პროცესის პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა და აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმით (დანართი №5) გათვალისწინებული მიმართულებებით განსახორციელებელი ცვლილებების პირველი-მეორე ეტაპი თითქმის დასრულებულია. ხოლო მესამე ეტაპის ცვლილებებს უახლოეს მომავალში წარმოადგენენ საკრებულოში, მათ შორისაა ტრანსპორტის განვითარების გეგმაც, რომლის შემუშავებაშიც მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო დონის უცხოელი ექსპერტები და სპეციალისტები.

ქ-ნი მ. ბითაძის შედეგ, დედაქალაქის განახლებულ მიწათსარგებლობის გეგმაზე ისაუბრეს „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ წარმომადგენლებმა.

ბ-ნმა მ. სალუქვაძემ („სითი ინსტიტუტი საქართველოს“ დირექტორი) ისაუბრა იმ კონსტრუქციულ და საქმიან ურთიერთობებზე, რომელიც დოკუმენტზე მუშაობისას შედგა ერთი მხრივ, მუნიციპალურ სამსახურებთან და მეორე მხრივ, შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან თუ ცალკეულ ექსპერტ-სპეციალისტებთან. მან აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ინსტიტუტი გადასულია საკონსულტაციო ხელშეკრულებით მომსახურებაზე. გამომსვლელმა (მ. სალუქვაძე) ასევე ყურადღება გაამახვილა განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის იმ ტენდენციებზე, რომელიც მისასაღმებელი და წინ გადადგმული ნაბიჯია ქალაქისთვის, განსაკუთრებით კი ლანდშაფტური არეალების დაცვასთან მიმართებით.

გამომსვლელების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

### შეკითხვები დასვეს:

ბ-ნმა ირ. ნადირაძემ დედაქალაქის განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დოკუმენტთან პარალელურ რეჟიმში „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში“ (№14-39 დადგენილება 24.05.2016წ.) შესატანი ცვლილების თაობაზე. ასევე, ბ-ნი ირაკლი ნადირაძე დაინტერესდა საბალანსო მაჩვენებელთა ცვლილებების აღწერა-დასაბუთებაში (დანართი №3) სარეკრეაციო არეალების საბალანსო მაჩვენებლების ცვლილების საკითხით და მცირე მდინარეების გახსნის შემდეგ სარეკრეაციო სივრცეების მოწყობის მხრივ განსახორციელებელი ცვლილებების, „ბრაუნფილდების“ სათანადო ფუნქციით დატვირთვისა და საბაგრო გზების მოწყობის საკითხებით.

დასმულ შეკითხვებს პასუხი გასცა ქ-ნმა მ. ბითაძემ, რომლის ინფორმაციით, უკვე დასრულდა ტყის მასივების ინვენტარიზაცია, დასრულების პროცესშია სატრანსპორტო სქემის შემუშავება, მიმდინარეობს ბრაუნფილდების კვლევა. ჩატარდა დიდმის ჭალების საპროექტო კვლევები (აღნიშნული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 7 ჰა), რომლის ფარგლებშიც უნდა დაიწყო საქალაქო მნიშვნელობის პარკის მშენებლობა. ასევე, მეორე დიდი პროექტია თემქის ხევის კვლევა, რომლის პირველი ეტაპი უკვე დასრულდა და უახლოეს პერიოდში შემუშავდება სარეკრეაციო სივრცის მოწყობის პროექტი.

ქ-ნმა მ. ბითაძემ აღნიშნა, რომ ყველა გამწვანებული სივრცე აისახა თემატურ რუკაზე, მათ შორის 12 პარკი, სარეკრეაციო ზონები, სატყეო ზონა და ასევე შიდარაიონული მნიშვნელობის მწვანე არეალები. გარდა თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკისა, შემუშავებულია 5 თემატური რუკა, რომელიც შემდეგ აისახება 3D ტიპის რუკაზე. ასევე, მნიშვნელოვანია საშიში გეოდინამიკური პროცესების მიხედვით თბილისის დარაიონების რუკაც (ლოკალური და წერტილოვანი) (დანართი 9.1.), რომლის მიხედვითაც ქალაქ თბილისის არეალის დარაიონება (ზონირება) მოხდა კატეგორიების მიხედვით, კერძოდ, განისაზღვრა დაბალი, საშუალო და მაღალი კატეგორიები, სადაც თავის მხრივ გათვალისწინებულია ტერიტორიის მორფოლოგიური (რელიეფი), ჰიდროგეოლოგიური და ჰიდროლოგიური (დატბორვა) პირობები, გეოლოგიური

აგებულია, თანამედროვე სტიქიური პროცესები და ანთროპოგენური ფაქტორი. თუმცა ბუნებრივი რისკების შემცველი ტერიტორიების იდენტიფიცირება და ზონირება, შევსება-დაზუსტების მიზნით, უნდა განხორციელდეს მომდევნო წლებშიც.

საბალანსო მაჩვენებელთა ცვლილებების აღწერა-დასაბუთებაში (დანართი №3) სარეკრეაციო არელების საბალანსო მაჩვენებლების ცვლილების საკითხთან დაკავშირებით ქალბატონმა მაია ბითაძემ აღნიშნა, რომ სამშენებლო სივრციდან არასამშენებლო სივრცეში, ჯამში 6 მილიონ კვ.მ.-ზე მეტი ტერიტორია იქნა გადატანილი.

ქ-ნმა მ. ბითაძემ და ბ-ნმა ალ. ტოგონიძემ ასევე ისაუბრეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში“ (№14-39 დადგენილება 24.05.2016წ.) შესატანი ცვლილების თაობაზეც.

#### **აზრი გამოთქვა:**

**ბ-ნმა ზ. ბაქრაძემ** (არქიტექტორი, ურბანისტი) - შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანების სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე, ასევე ისტორიული ქალაქის კონცეფციასა და იმ ინსტრუმენტებზე, რომელიც ისტორიული ქალაქის შენარჩუნება-განვითარებისთვისაა საჭირო. ბ-ნმა ზ. ბაქრაძემ ასევე აღნიშნა, რომ დღეს არ არსებობს მუნიციპალიტეტის სტატისტიკის სამსახური, რომელიც სტატისტიკურ მონაცემებს მიაწვდის ქალაქის ურბანულ განვითარებაზე პასუხისმგებელ შესაბამის სამსახურს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბ-ნი ზ. ბაქრაძის წინადადებით, საჭიროა მუნიციპალურ დონეზე შეიქმნას სტატისტიკის საქალაქო სამსახური.

ბ-ნმა ზ. ბაქრაძემ აღნიშნა, რომ დედაქალაქის განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით, გაუნაშენიანებელი ტერიტორიების განვითარებასთან შედარებით, უპირატესობა აქვს მინიჭებული განაშენიანებული ტერიტორიების განვითარებას, თუმცა, თემატური რუკის მიხედვით, მაგალითად, ავშნიანის ტერიტორია, განაშენიანების საზღვრებშია მოქცეული.

ბ-ნმა ზ. ბაქრაძემ დამატებით ისაუბრა ქალაქის ცენტრში სამგზავრო რკინიგზისა და ცენტრალური რკინიგზის სადგურის შენარჩუნების აუცილებლობის და ასევე, ისტორიული ლანდშაფტის სტატუსის მქონე და სტრატეგიული მნიშვნელობის ისეთი ტერიტორიების სამართლებრივი დაცვის აუცილებლობის თაობაზე, როგორცაა მთაწმინდა, თაბორის მთა, ლოტკინის მთა და ვერეს ხეობა. გამომსვლელის განმარტებით, აუცილებელია მოხდეს მტკვრის, როგორც თბილისის ხერხემლის, დიდგორისა და ვერეს ხეობის გავლით დაკავშირება ქალაქთან.

ქალბატონი მ. ბითაძის ინფორმაციით, რკინიგზის გადატანა ამ ეტაპზე არ იგეგმება.

ავშნიანის ტერიტორიის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში მოქცევის თაობაზე სხდომაზე აღინიშნა, რომ ავშნიანის დასახლებაში შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომლის შესაბამისად მოხდება ტერიტორიის შემდგომი განვითარება.

#### **აზრი გამოთქვა:**

ბ-ნმა ნ. ვაჩიშვილმა, რომელმაც ისაუბრა იმ გამოწვევებზე, რომელიც ქალაქის წინაშე ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის მხრივ დგას. ამ მიზნით საჭიროა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ქვეშ არსებული უბნების განვითარების გეგმის შემუშავება.

ბ-ნმა ალ. ტოგონიძემ ისაუბრა ისტორიულ-კულტურულ უბნებსა და მათი განვითარების პერსპექტივაზე.

#### აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა ვ. შაქარიშვილმა, რომელმაც ისაუბრა სარევიზიო განაშენიანების რეგულირების გეგმებზე და აღნიშნა, რომ ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე გაცემული სამშენებლო ნებართვები 2 ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებებით შეჩერებულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბ-ნმა ვ. შაქარიშვილმა წინადადებით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, მათ შორის საკრებულოსა და კომისიების წევრებს, ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე გავრცელდეს სარეკრეაციო ზონა.

სხდომაზე დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაინტერესდნენ: იმ კერძო მესაკუთრეთა ბედით, რომელთა უფლებებიც იზღუდება სარეკრეაციო ზონის გავრცელებით. მათი დაინტერესება ასევე გამოწვია დედაქალაქის განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის საჯარო განხილვის საკითხმა.

სხდომაზე დამსწრე კერძო მესაკუთრის (ირ. ქველაძე) მიერ დაისვა შეკითხვა ადგილმონაცვლეობის კრიტერიუმების შესახებ. გამომსვლელის (ირ. ქველაძე) განმარტებით, მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გავრცელებული სარეკრეაციო ზონის გამო, იზღუდება მისი, როგორც კერძო მესაკუთრის უფლება, ხოლო ალტერნატიული მიწის ნაკვეთის შეთავაზება მერიის შესაბამისი სამსახურების მხრიდან არ მომხდარა.

დედაქალაქის განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის საჯაროდ განხილვის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხეს საკრებულოს წევრებმა: ბ-ნმა რ. სოხაძემ, ბ-ნმა ირ. ზარქუამ, ბ-ნმა ო. გრიგოლიამ და ქ-ნმა მ. დარჩიამ, რომლებმაც ისაუბრეს საჯარო განხილვის პროცედურებსა და ასევე, საკრებულოს შესაბამისი კომისიებისა თუ მაჟორიტარი წევრების მიერ გამართული საჯარო განხილვების თაობაზე.

კერძო მესაკუთრის (ირ. ქველაძე) მიერ დასმულ შეკითხვებზე ამომწურავი პასუხი გასცეს ბ-ნმა ირ. ზარქუამ და ქ-ნმა მ. ბითაძემ. ქ-ნმა მ. ბითაძემ დამატებით ისაუბრა დიღმის ტყე-პარკში ქალაქისთვის მნიშვნელოვანი სარეკრეაციო ტერიტორიების შენარჩუნების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე.

ქ-ნმა ა. გაბრიაძემ ისაუბრა დიღმის ტყე-პარკში, კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორიების შესახებ. კონკრეტულად კი, შპს „მანდარინის“ და შპს „პსპ ფარმას“ მიერ

მოთხოვნილი მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ შუალედური პასუხის, ასევე, შპს „ანაგის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის თაობაზე. ქ-ნმა ა. გაბრიამძემ თხოვნით მიმართა მერიის წარმომადგენლებსა და საკრებულოს წევრებს, გატარდეს სათანადო ღონისძიებები ზემოაღნიშნული მესაკუთრეებისთვის ალტერნატიული მიწის ნაკვეთების შეთავაზების სახით, დიღმის ტყე-პარკის, როგორც ერთიანი სარეკრეაციო სივრცის შენარჩუნების მიზნით.

ქ-ნმა ლ. ლიპარტელიანმა და ბ-ნმა. ლ. ხაბეიშვილმა ისაუბრეს იმ ტექნიკური ხასიათის ხარვეზებზე, რომელიც წარმოდგენილ თემატურ რუკებსა და [www. tas.ge](http://www.tas.ge)-ს ინტერაქტიულ რუკაზე მუშაობისას წარმოიშვა.

ქ-ნი მ. ბითაძის განმარტებით, მიმდინარეობს კონსულტაციები და დაზუსტება თემატურ რუკებზე დატანილ მონაცემებთან მიმართებაში. არსებობს ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, რომელიც სწორდება და მომავალშიც გასწორდება, რადგან ეს დაკავშირებულია სამუშაო პროცესთან.

#### შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა გ. ჩაკვეტაძემ, რომელიც დაინტერესდა, ზოგადად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანდართული სამოქმედო გეგმის (დანართი №5), მისი ფუნქციისა და სამოქმედო გეგმით გაწერილი ყველა მიმართულებების ერთდროულად აღსრულების საკითხით და, კონკრეტულად, წინა სამოქმედო გეგმის ვერსიასთან შედარებით, წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის დაზუსტებულ ვერსიაში მცირედი შესწორებების (ცვლილებების) გამომწვევი მიზეზებით. კერძოდ, მედეგობის სტრატეგიის შემუშავების ვადად მითითებულია მხოლოდ 2019 წელი, შესაბამისად, დასაზუსტებელია რა ღონისძიებებს მოიცავს აღნიშნული გეგმის შემუშავება და რა პერიოდზეა გათვლილი. ასევე, წინა ჯერზე წარმოდგენილ ვერსიაში დეტალურად იყო ასახული, მაგრამ დაზუსტებულ ვარიანტში არ ჩანს თბილისის პოზიციონირების საკითხი, რაც ასევე მოითხოვს დაზუსტებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბ-ნი გ. ჩაკვეტაძე დაინტერესდა მწვანე ლანდშაფტის დაგეგმარების, კერძოდ, ტყის სანიტარული ზონების კვლევის საკითხით, რაც, ასევე არ არის ასახული სამოქმედო გეგმის დაზუსტებულ ვერსიაში.

დასმულ შეკითხვას უპასუხა ქ-ნმა მ. ბითაძემ, რომლის განმარტებით, თბილისი შეტანილია ასი მედეგი ქალაქის სიაში, ამ პლატფორმის დახმარებით ხორციელდება ძალიან ბევრი პროექტი, რომელიც უცვლელადაა წარმოდგენილი სამოქმედო გეგმაში. ხოლო გეგმაში გაწერილი ღონისძიებები, მთლიანად შეესაბამება „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ წარმოდგენილ განმარტებით ბარათში. აღნიშნული მასალები შეიკრიბა და გადაითარგმნა იმ პროექტების ენაზე, რომელსაც ქალაქ თბილისის მერია სთხოვდა პარტნიორებს. ამ პროცესში ჩართული იყო ყველა საქალაქო სამსახური და საბოლოოდ ყოველივე ამის სინერგია გაკეთდა როგორც „მწვანე ქალაქის“ , ასევე, ქალაქის მედეგობის სტრატეგიებთან მიმართებაში, რომელიც შემუშავდა ევროპის

რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ. ყოველივე ეს არ არის უტოპიური გეგმები (სტრატეგიები) და მხოლოდ ფურცელზე არ დარჩება, ისინი თანმიმდევრულად აღსრულდება.

**აზრი გამოთქვა:**

**ბ-ნმა ზ. ზაქრაძემ** რომელმაც აღნიშნა, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმა არის ქალაქის განვითარების ინსტრუმენტი, რომელიც ქალაქის ხელისუფლების ექსკლუზიურ უფლებას წარმოადგენს და კერძო პირებისა თუ კომპანიების მიერ მისი შემუშავება არ არის სწორი ფორმა. ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება თუ შემუშავდება მშენებლობის ნებართვის სხვა, უფრო მისაღები ფორმა და მას დაერქმევა არა განაშენიანების რეგულირების გეგმა, არამედ მშენებლობის გაცემის განსაკუთრებული პირობა.

**ბ-ნმა ირაკლი ნადირაძემ** ისაუბრა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტურ ნაწილით“ გათვალისწინებულ საინჟინრო ინფრასტრუქტურის საკითხთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით, მაღალი ძაბვის ანძები და საჰაერო ხაზები ჩატანილ უნდა იქნას მიწის ქვეშ. შესაბამისად, საინტერესოა, აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება თუ არა უკვე არსებული მაღალი ძაბვის ანძებსა და საჰაერო ხაზებზეც.

**ქ-ნმა მ. ბითაძემ** ისაუბრა იმ დაფინანსების მოცულობაზე, რომელიც დედაქალაქში არსებული მაღალი ძაბვის ანძებისა და საჰაერო ხაზების მიწის ქვეშ ჩატანისთვის არის საჭირო, რასაც დედაქალაქის ბიუჯეტი ვერ გაწევდება, ამიტომ ძირითადად, აქცენტი გაკეთდება ახალი საკომუნიკაციო ხაზების მიწისქვეშ განთავსებაზე.

**სხდომის დასასრულს, საკრებულოსა და კომისიის წევრებს** შემაჯამებელი წინადადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, **ბ-ნმა რ. სოხაძემ** - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2019 წლის 6 მარტის №12-031906554-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტისა და მისი დანართების მნიშვნელობისა და მოცულობის გათვალისწინებით, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საკრებულოს დარგობრივი კომისიების სხდომა გაიმართოს 2019 წლის 15 მარტს, 12:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ, **ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ** სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:



ერეკლე კუხიანიძე